პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიები) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის (ს/ნ -[redacted]) გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტისა და ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის (ს/ნ -[redacted]) 2024 წლის 26 დეკემბრის N1000395 1 24 01375832 წერილის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, დანართი N1-ში მითითებული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიები) ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის (ს/ნ -[redacted]) 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.